0313 ფსიქოლოგია PSYCHOLOGY

მზია თედიაშვილი
კავკასიის უნივერსიტეტი
Caucasus University

გარემოს გავლენა სტუდენტების სოციალურ ნორმებზე

საქართველოში, სხვა ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად, დანაგვიანება ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად განიხილება. სამწუხაროდ, ბევრ მოქალაქეს დანაგვიანება ჩვევად ექცა. ადამიანები ნაკლებად ან საერთოდ ვერ აცნობიერებენ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომ იზრუნონ ჩვენს გარშემო არსებული სივრცეების სისუფთავეზე. დანაგვიანება აბინძურებს გარემოს, წყლის რესურსებს. ადამიანების უგუნური ქმედება ზიანს აყენებს ბუნებას.

დანაგვიანება – ერთ-ერთი კლასიკური სოციალური დილემაა. შეიძლება ყველგან არ იყოს ნაგვის ურნა და თითოეული ადამიანის თვალთახედვით დიდი ტრაგედია არაა თუ ჩვენც დავანაგვიანებთ. როგორც ყველა სოციალური დილემის შემთხვევაში, პრობლემა ისაა რომ ასევე ფიქრობს თითოეული ჩვენგანი და საბოლოოდ ზიანი ადგება ყველას. დანაგვიანება მზარდი სოციალური პრობლემაა ესთეტიკური, ფინანსური და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯებით. ამიტომ ეს სოციალური პრობლემა გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის საკვლევ არეალში მოხვდა. როგორ უნდა ვაიძულოთ ადამიანები მოიქცნენ ნაკლებად ეგოისტურად და არ დაანაგვიანონ გარემო?

სოციალურ ფსიქოლოგებს შორის არ არსებობს კონსენსუსი სოციალური ნორმების ახსნითი და პროგნოზირებადი ღირებულების შესახებ. ერთნი სოციალურ ნორმებს განიხილავენ როგორც გადამწყვეტს სოციალური ქცევის გასაგებად. ხოლო მეორენი სოციალური ნორმის კონცეფციას ზედმეტად ზოგადად, წინააღმდეგობრივად და ემპირიული კვლევისთვის შეუსაბამოდ მიიჩნევენ. ჩიალდინი და მისი კოლეგების აზრით, ორივე მოსაზრება სწორია [1].

ჩიალდინი და მისი კოლეგები გვირჩევენ, მუდმივად შევახსენოთ ადამიანებს სოციალური ნორმები, რომლებიც გარემოს დანაგვიანების გამო მათ კიცხავენ [1]. ზიმბარდო სოციალური ნორმას შემდეგნაირად განმარტავს – ესაა მოლოდინები, რომლებიც ჯგუფს გააჩნია თავისი წევრების მიმართ მათი ქცევებისა და განწყობების სასურველობასთან და შესაბამისობასთან დაკავშირებით [2]. ჩიალდინი და მისი კოლეგები აღნიშნავენ, რომ არსებობს ორი სახის სოციალური ნორმები: ინსტრუქციული და აღწერითი ნორმები. ინსტრუქციული ნორმები განსაზღვრავს როგორი ქცევის მოდელია წახალისებული საზოგადოების მხრიდან, მიუხედავად იმისა თუ როგორ იქცევიან ადამიანები რეალურად. ხოლო აღწერითი ნორმები გულისხმობს აღქმებს თუ როგორ იქცევიან ადამიანები რეალურად. მიუხედავად იმისა, როგორი ქცევის მოდელია საზოგადოების მხრიდან წახალისებული.

ორივე სოციალური ნორმისადმი ადამიანებისთვის ყურადღების გამახვილება ხელს უშლის გარემოს დანაგვიანებას. რენომ და მისმა კოლეგებმა ჩაატარეს საველე ექსპერიმენტი ბუნებრივ პირობებში ინსტრუქციული ნორმების გავლენაზე. როდესაც ადამიანები გამოდიოდნენ ბიბლიოთეკიდან და მიემართებოდნენ ავტომანქანებისკენ, რომელიც გაჩერებული იყო ავტოსადგომზე, მათ გვერდით მიჰყვებოდა ექსპერიმენტატორი, რომელიც ძირს დაგდებულ ჰამბურგერის პარკს ურნაში ათავსებდა. საკონტროლო ექსპერიმენტში ძირს არაფერი არ იყო დაგდებული და ექსპერიმენტატორი უბრალოდ გვერდით მიყვებოდა ბიბლიოთეკიდან გამოსულ მკითხველს. როდესაც მკითხველები სხდებოდნენ თავის ავტომანქანებში საქარე მინაზე აღმოაჩენდნენ სარეკლამო ფლაერს. რენომ და მისმა კოლეგებმა გამოთქვეს ვარაუდი, რომ ექსპერიმენტატორის ქცევა, რომელმაც ჰამგურგერის პარკი მოათავსა ურნაში, ხელს შეუწყობდა ინსტრუქციულ ნორმას – დანაგვიანება ცუდი საქციელია და შესაბამისად, მცირე რაოდენობის ადამიანებს გაუჩნდებოდათ დანაგვიანების სურვილი. მათი ჰიპოთეზა გამართლდა. სარეკლამო ფლაერი ძირს დააგდო ადამიანების მხოლოდ 7%-მა, ხოლო საკონტროლო ექსპერიმენტში - 37%-მა.

რომელია დანაგვიანების საწინააღმდეგო აღწერითი ნორმების საუკეთესო მეთოდი? ყველაზე მარტივია გარემოს დასუფთავება. რითაც ვაჩვენებთ ადამიანებს, რომ გარემოს დანაგვიანება არ შეიძლება. ზოგადად ეს მოსაზრება სწორია. რაც ნაკლებად დანაგვიანებულია გარემო შეგვიძლია ვივარაუდოთ რომ ადამიანები ნაკლებად დაანაგვიანებენ. თუმცა ამ წესს აქვს ერთი საინტერესო გამონაკლისი. ჩიალდინი და მისი კოლეგებმა (1980) გამოთქვეს ვარაუდი რომ მიწაზე, თვალში მოსახვედრ ადგილას, დაგდებულ ქაღალდის ერთ ფურცელსაც კი შეუძლია გაგვახსენოს აღწერითი ნორმის შესახებ, რომ გარშემო აბსოლუტური სისუფთავეა. ერთადერთი ძირს დაგდებული ფურცელი ადამიანებს ახსენებს რომ აქ არავინ ანაგვიანებს გარდა ერთი ადამიანისა. თუ მიწაზე არაფერი არ ყრია, დანაგვიანების საწინააღმდეგო აღწერითი ნორმის შესახებ ადამიანებს არც ახსენდებათ. შესაბამისად, რაც უნდა პარადოქსულად ჟღერდეს, ადამიანები უფრო დაანაგვიანებენ აბსოლუტურად სუფთა გარემოს, ვიდრე გარემოს სადაც მხოლოდ ერთი ნივთია დაგდებული.

ამ ჰიპოთეზის შესამოწმებლად მკვლევრებმა სტუდენტების საერთო საცხოვრებლის საფოსტო ყუთებში მოათავსეს სარეკლამო ფლაერები და სათვალთვალო პუნქტიდან აკვირდებოდნენ რამდენი სტუდენტი დააგდებდა სარეკლამო ფლაერს იატაკზე (ჩიალდინი 1990). პირველ სიტუაციაში, საფოსტო ყუთებთან იყო აბსოლუტური სისუფთავე. მეორე სიტუაციაში, იატაკზე ეგდო ნაჭამი საზამთროს ნაჭერი. მესამე სიტუაციაში, ნაჭამ საზამთროს ნაჭერს სარეკლამო ფლაერებიც დააყარეს. როგორც მკვლევრები ვარაუდობდნენ, სტუდენტები ყველაზე ნაკლებად ანაგვიანებდნენ მაშინ, როდესაც იატაკზე ეგდო მხოლოდ საზამთროს ნაჭერი. აღწერითი ნორმის ერთადერთი გამონაკლისი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ერთი ბინძური ადამიანის გარდა აქ არავინ ანაგვიანებს. როდესაც სტუდენტებს ყურადღებას ამახვილებინებდნენ დანაგვიანების საწინააღმდეგო აღწერით ნორმაზე თითქმის არავინ ანაგვიანებდა. ყველაზე მეტად სტუდენტები ანაგვიანებდნენ მესამე სიტუაციაში [3].

ჩვენს საკვლევ საკითხს წარმოადგენდა ჯგუფში სტუდენტების მიერ დანაგვიანების საწინააღმდეგო აღწერითი ნორმის შესრულება ბუნებრივ პირობებში. გამოითქვა ჰიპოთეზა – სტუდენტები ჯგუფში (ექსპერიმენტის პირობების ვარიაციის მიუხედავად) მკაცრად შეასრულებდნენ დანაგვიანების საწინააღმდეგო აღწერით ნორმას ანუ არ დაანაგვიანებენ აუდიტორიებს.

ამ საკითხის კვლევისას გამოვიყენეთ საველე ექსპერიმენტი ანუ ექსპერიმენტი ბუნებრივ პირობებში. კვლევის ამ მეთოდის უპირატესობა ისაა, რომ რესპონდენტებმა არ იციან რომ კვლევაში მონაწილეობენ და ბუნებრივად იქცევიან.

საველე ექსპერიმენტში კავკასიის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალური მეცნიერებათა სკოლის ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სამი ჯგუფის სტუდენტები მონაწილეობდნენ. კავკასიის უნივერსიტეტის ყველა აუდიტორია აღჭურვილია ვიდეო კამერით. აუდიტორიებში იდეალური სისუფთავეა და ყველგანაა ნაგვის ურნა. საველე ექსპერიმენტი ჩატარდა ლექციის მსვლელობისას. პირველ ჯგუფში (18 სტუდენტი) აუდიტორიაში იყო აბსოლუტური სისუფთავე. მეორე ჯგუფში (23 სტუდენტი) მხოლოდ ერთ მერხზე იდო ფურცლები. მესამე ჯგუფში (25 სტუდენტი) თითქმის ყველა მერხზე ფურცლები იყო მიმობნეული. ლექციის მსვლელობისას სტუდენტებმა შეავსეს პიროვნების საკვლევი ტესტი. ჩვენი ინტერესის საგანი იყო თუ როგორ მოიქცეოდნენ სტუდენტები – ფურცლებს მერხებზე დატოვებდნენ თუ ნაგვის ურნაში ჩააგდებდნენ ან თან წაიღებდნენ. პირველ ჯგუფში ყველა სტუდენტმა ფურცლები ან ნაგვის ურნაში ჩაყარა ან ჩანთაში ჩაიწყო. მეორე ჯგუფშიც იგივე განმეორდა. ერთ მერხზე მოთავსებული ფურცლებიც ერთ-ერთმა სტუდენტმა აიღო და ნაგვის ურნაში ჩააგდო. საინტერესო იყო სტუდენტების რეაქცია მესამე ჯგუფში, სადაც მათ აუდიტორიის მერხებზე მიმობნეული ფურცლები დახვდათ. ლექციის დაწყებამდე, ერთ_ერთმა სტუდენტმა დაიწყო ფურცლების შეგროვება და ურნაში ჩაყრა და მას 7-8 სტუდენტიც შეუერთდა. ლექციის შემდეგ თავისი ფურცლებიც ან ნაგვის ურნაში ჩაყარეს ან ჩანთაში ჩაიწყეს. ჩვენი ჰიპოთეზა გამართლდა - სტუდენტები ჯგუფში (ექსპერიმენტის პირობების ვარიაციის მიუხედავად) მკაცრად ასრულებდნენ დანაგვიანების საწინააღმდეგო აღწერით ნორმას ანუ არ ანაგვიანებენ აუდიტორიებს.

როგორ შეიძლება ავხსნათ ის ფაქტი რომ სტუდენტები მკაცრად ასრულებენ დანაგვიანების საწინააღმდეგო ნორმას? აღწერითი ნორმისადმი ერთგულება შეიძლება განპირობებული იყოს გარემოს

ფაქტორებით. აბსოლუტურად სუფთა გარემოში ადამიანები ნაკლებად ანაგვიანებენ (უნივერსიტეტის შენობაში სისუფთავეა). არსებობს კონტროლის მექანიზმიც ვიდეოთვალის სახით. ასევე, გასათვალისწინებელია ისიც რომ ფორმალურ ჯგუფებში ადამიანები უფრო მეტად ემორჩილებიან ნორმებს, ვიდრე მარტო ყოფნისას.

კვლევის შეზღუდვა. კვლევის შერჩევის შეზღუდული რაოდენობის გამო კვლევა არ შეიძლება ჩაითვალოს რეპრეზენტატიულად, ამიტომ მიღებული შედეგების განზოგადება ქართველ სტუდენტებზე შეუძლებელია. ასევე, კვლევის შერჩევაში არ იყო დაცული გენდერული ბალანსი, რადგან ფსიქოლოგიის პროგრამის სტუდენტები უმეტესად მდედრობითი სქესის წარმომადგენლები არიან. სამივე ჯგუფში მამრობითი სქესის მხოლოდ 5 სტუდენტი იყო. არა ერთი კვლევით დადასტურებულია, რომ მდედრობითი სქესის წარმომადგენლები ნაკლებად ანაგვიანებენ გარემოს, ვიდრე მამრობითი სქესის წარმომადგენლები.

ლიტერატურა

1. https://www.influenceatwork.com/wp-content/uploads/2015/05/A-Focus-Theory-of-Normative-Conduct.pdf ბოლო ნახვა 17.08.2022
2. გერიგი რ. ზიმბარდო ფ. ფსიქოლოგია და ცხოვრება. მე-16 გამოცემა. ალინი და ბეკონი. 2002. ქართული თარგმანი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2009
3. https://www.booksfree.org/wp-content/uploads/2022/04/Social-Psychology-9th-Edition-by-Aronson-Wilson-Akert-Sommers-booksfree.org_.pdf ბოლო ნახვა 17.08.2022

რეზიუმე

საქართველოში, სხვა ეკოლოგიურ პრობლემებთან ერთად, დანაგვიანება ერთ-ერთ სერიოზულ პრობლემად განიხილება. სამწუხაროდ, ბევრ მოქალაქეს დანაგვიანება ჩვევად ექცა. ადამიანები ნაკლებად ან საერთოდ ვერ აცნობიერებენ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომ იზრუნონ ჩვენს გარშემო არსებული სივრცეების სისუფთავეზე. დანაგვიანება აბინძურებს გარემოს, წყლის რესურსებს. ადამიანების უგუნური ქმედება ზიანს აყენებს ბუნებას. დანაგვიანება მზარდი სოციალური პრობლემაა ესთეტიკური, ფინანსური და ადამიანის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ხარჯებით. ამიტომ ეს სოციალური პრობლემა გამოყენებითი სოციალური ფსიქოლოგიის საკვლევ არეალში მოხვდა. ჩიალდინი და მისი კოლეგები აღნიშნავენ, რომ არსებობს ორი სახის სოციალური ნორმები: ინსტრუქციული და აღწერითი ნორმები. საკვლევ საკითხს წარმოადგენდა ჯგუფში სტუდენტების მიერ დანაგვიანების საწინააღმდეგო აღწერითი ნორმის შესრულება ბუნებრივ პირობებში. გამოითქვა ჰიპოთეზა – სტუდენტები ჯგუფში (ექსპერიმენტის პირობების ვარიაციის მიუხედავად) მკაცრად შეასრულებდნენ დანაგვიანების საწინააღმდეგო აღწერით ნორმას ანუ არ დაანაგვიანებენ აუდიტორიებს. აღნიშნული ჰიპოთეზა დადასტურდა.

Mzia Tediashvili

The influence of the environment on students' social norms

Summary

Littering is one of the serious problems widely discussed in Georgia together with other ecological problems. Unfortunately, littering has become a habit for a lot of citizens. People lack or don't have at all the sense of social responsibility to take care of the cleanliness of public places around them. Littering contaminates the environment and water resources. The imprudent behavior of people harms nature. Littering is an increasing social issue with esthetic, financial, and health-related expenses. That's why this social problem has become an area of research interest for applied social psychology. Cialdini and his colleagues point out that people follow two kinds of norms: injunctive norms, which are people's perceptions of what behaviors are approved or disapproved of by others, and descriptive norms, those that are people's perceptions of how people actually behave. The research question was how students conform to the descriptive norms against littering in natural conditions. There was a hypothesis that students in a group (in spite of the variations of the terms of the experiment) would strictly conform to the descriptive norms against littering and wouldn't contaminate their classrooms. The given hypothesis was confirmed.